

მანანა სანაძე

ქართველთა ცხოვრება

წიგნი I

შესავალი ქართველთა ცხოვრებაში

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2019

ქართველთა ცხოვრება წიგნი I – შესავალი ქართველთა ცხოვრებაში, ნუმერაციით პირველი, თუმცა რიგითობის მიხედვით მეორეა ქართველთა ცხოვრების იმ მრავალწიგნიანი სერიიდან, რომლის გამოცემას საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა ახორციელებს საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის პროფესორებისა და ამავე სკოლის მაგისტრანტი და დოქტორანტი სტუდენტების მონაწილეობით. აღნიშნული წიგნის ავტორი და მთლიანი სერიის მეცნიერ-ხელმძღვანელია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა სანაძე. მისივე ავტორობით 2016 წ. უკვე გამოიცა ქართველთა ცხოვრება წიგნი III - ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე). ქართველთა ცხოვრება წიგნი II - ქართველთა ცხოვრება, რომლის გამოცემაც უახლოეს დროში იგეგმება, მოიცავს თხზულების ტექსტებს (დავით აღმაშენებლის ცხოვრების ჩათვლით) და ამ ტექსტების ახალი პრინციპით დაბეჭდვას გულისხმობს, რაც თავიდან აგვაცილებს 2008 წლის გამოცემის არც თუ უმნიშვნელო შეცდომებს. განსაზღვრულია ამავე სერიის სხვა წიგნების მომზადებაც.

წინამდებარე წიგნი ისევე, როგორც მისი წინამორბედი, განკუთვნილია, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერ-მკვლევარებისთვის და საქართველოს ისტორიის პროგრამაზე მოსწავლე დოქტორანტი და მაგისტრანტი სტუდენტებისათვის. ვფიქრობთ, სასურველია, სპეცკურსის სახით, წიგნს გაეცნონ III-IV კურსის ბაკალავრებიც. იმავდროულად, ავტორი იმედს იტოვებს, რომ წიგნი გასაგები და საინტერესო წასაკითხი იქნება ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვისაც.

მეცნიერ-რედაქტორი: **გონელი არახაშია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**
რეცენზენტები: **გიული ალასანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**
ანდრია გოგოლაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
რეზიუმეს ინგლისურად მთარგმნელი: **ირინა ბაგაევა, მანანა თევზაძე**
ტექნიკური რედაქტორები: **ნინო ბარნოვი, მარინა ჟღენტი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **მარი ვერულაშვილი**
რუკების შემდგენელი და მხატვარი: **კონსტანტინე თოფურია**

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019
საქართველო, თბილისი 0171, კოსტავას ქ. 77
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-9666-1-3

სარჩევი

წინათქმა	9
შესავალი	11
ნაკვეთი I - ქართველთა ცხოვრება როგორც ისტორიული თხზულება	
თავი I - რა არის ქართველთა ცხოვრება?	15
§ 1. ზოგადი განმარტება	17
§ 2. ქართველთა ცხოვრების სახელწოდებები	19
§ 3. ქართველთა ცხოვრების მნიშვნელობა.....	24
თავი II - ქართველთა ცხოვრების სანდოობის საკითხი ისტორიოგრაფიაში	31
§ 1. ქართველთა ცხოვრების სანდოობის საკითხი	33
§ 2. ქართველთა ცხოვრება და ქართულ-უცხოური ისტორიოგრაფია	41
თავი III - ქართველთა ცხოვრების გავრცელება	51
§ 1. ქართველთა ცხოვრების ნუსხები და რედაქციები	53
§ 2. მოქცევა ქართლისაჲს ქრონიკა და ქართველთა ცხოვრება.....	66
§ 3. ქართველთა ცხოვრების რედაქციები.....	67
§ 4. ქართველთა ცხოვრების გავრცელების გეოგრაფია.....	79
§ 5. ქართველთა ცხოვრების გამოცემები	80
§ 6. ქართველთა ცხოვრების თარგმანები.....	84
თავი IV - ჯუანშერი და ლეონტი მროველი	87
§ 1. პრობლემის არსი.....	89
§ 2. ლეონტი მროველი.....	91
§ 3. ჯუანშერ ჯუანშერიანი.....	91
§ 4. ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრება.....	100
ნაკვეთი II - ქართველთა ცხოვრების შედგენილობა	
თავი V - ქართველთა ცხოვრების შუასაბალი მოთხრობა - ცხოვრება ქართველთა გეგმასა კირველთაგანთა მამათა და ნათესავთა	119
§ 1. მცდარად ჩამკდარი „და“	121
§ 2. ისტორიის გადმოცემის დინასტიური პრინციპი	123
§ 3. უძველესი ქართულ-სომხური გენეალოგიური თხზულებები და მათი სინთეზი	125
§ 4. არსენ ბერის წინოს ცხოვრება, მოქცევა ქართლისაჲს ქრონიკა და ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრება	132
§ 5. თარგამოსიანები და ქართლოსიანები - მამათა ცხოვრების შექმნის დრო და წყაროები.....	142
თავი VI - ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრების შედგენილობა	151
§ 1. ჟამითი-ჟამად აღწერილი ისტორია	153
§ 2. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა	224
თავი VII - ქართველთა ცხოვრების განვითარების ჯუანშერის შედგომი პერიოდი	229
§ 1. ქართველთა ცხოვრების ლეონტისეული რედაქცია.....	231
§ 2. ქართველთა ცხოვრების XI-XII სს-ის გამგრძელებლები	235
§ 3. ქართველთა ცხოვრების შედგენილობა და ავტორები დავით აღმაშენებლის ცხოვრების შემდგომი ხანიდან ჟამთააღმწერლის თხზულების ჩათვლით.....	239
§ 4. ქართველთა ცხოვრების ოთხსაუკუნოვანი (1318-1696) ისტორია.	250

ნაკვეთი IV - რა უნდა ვიცოდეთ ქართველთა ცხოვრებაზე მუშაობისას

თავი VIII - ქართველთა ცხოვრების გეოგრაფია255

- § 1. გეოგრაფიული, გეო-პოლიტიკური და ეთნიკური ტერმინები და ცნებები ქართველთა ცხოვრებაში..... 257
- § 2. გუგარქი//გოგარენა//გურგანი - არმაზელი მეფეების სამფლობელო..... 288
- § 3. არსოკისა და არმაზელის ხანაში ქართველ-სომეხთა ომის გეოგრაფია 297
- § 4. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას გეოგრაფია 298
- § 5. ჯუანშერისეული გეოგრაფიის მახასიათებლები 304
- § 6. ცხოვრება ქართველთა მეფეთა საპირველთაგანთა მამათა და ნათესავთა გეოგრაფია 318
- § 7. ცენტრალური და ადგილობრივი მმართველების აღმნიშვნელი ტერმინები ქართველთა ცხოვრებაში..... 335

თავი IX - ქართველთა ცხოვრების ქრონოლოგია353

- § 1. მეფობამდელი პერიოდი ქართველთა ცხოვრებაში და მისი ქრონოლოგია 355
- § 2. ქართლის წარმართ მეფეთა ქრონოლოგია 363
- § 3. ფარსმან II ქველის შემდგომ ამბასპ II-ის ჩათვლით ორასწლიანი (დაახლ. ახ. წ. 65-265 წწ.) პერიოდის ქრონოლოგია 378
- § 4. ქართლის მეფეები ამბასპ II-დან ვარაზ/დიდი ბაკურის ჩათვლით (დაახლ. 235-405 წლები)..... 381
- § 5. ქართლის მეფეების: თრდატის, ფარსმან V-ის, მირდატ//ბუმბარიოსის, არჩილ I-ის, მირდატ არჩილის ძისა და ვახტანგ გორგასლის ქრონოლოგია..... 391
- § 6. „კახეთის“, იმავე „ხიდარელი მეფეების“ - და ქართლის პატრიკიოსების დათარიღებაში დაშვებული შეცდომები 403
- § 7. ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგიური ცხრილი..... 410

თავი X - ქართველთა ცხოვრება და საქართველოს ეკლესია415

- § 1. კვართის ქართლში მოტანის სიუჟეტი 417
- § 2. ქართლის მთავარეპისკოპოსები - 428-517 წლებში..... 420
- § 3. ქართლის მთავარეპისკოპოსი მიქაელი და მისი კონფლიქტი ვახტანგთან 428
- § 4. ქართლის პირველი კათოლიკოსები - პეტრე და სამოელი 431
- § 5. ქართლის კათოლიკოსები 560-740 წლებში 432
- § 6. ევნონისიტგან მომართ და მერმე 436

თავი XI - ქართველთა ცხოვრების მსოფლადემა439

- § 1. ქართველთა ცხოვრება - მრავალავტორიანი თხზულება..... 441
- § 2. ქართველთა ცხოვრება და მსოფლიო ისტორია 445
- § 3. ტელეოლოგია, პროვიდენციალიზმი და დუალიზმი 446
- § 4. ხალხთა წარმომავლობა და ეროვნული იდენტობა 448
- § 5. ქართველთა ცხოვრების საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები..... 462
- § 6. ქართველთა ცხოვრების ღირებულებები და მორალურ-ზნეობრივი შეხედულებები..... 478
- § 7. ქართველთა ცხოვრება და საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია 485
- § 8. არის თუ არა თამარი ქართველთა ცხოვრებაში მეოთხე იპოსტასი? 488
- § 9. ისტორიული მოვლენების ანალიზი ქართველთა ცხოვრებაში 489

თავი XII - ქართველთა ცხოვრებაზე მუშაობის მეთოდოლოგია493

- § 1. საკუთარი და საზოგადო სახელების გადმოცემისას დაშვებული შეცდომები 495
- § 2. ტერმინების და ეთნიკური სახელების მოდერნიზება 507
- § 3. ცნობილი მსოფლიო ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები, როგორც ქრონოლოგიური საყრდენი 507

§ 4. ისტორიულ პირთა ნათესაობის ხარისხი, როგორც ქრონოლოგიური საყრდენი	514
§ 5. ეპოქის გაშლა//ეპოქის შეკუმშვა	515
§ 6. ინფორმაციის შენარჩუნების (არ დაკარგვის) მცდელობა	517
§ 7. <i>ქართველთა ცხოვრებაზე</i> ძველი ისტორიკოსების მუშაობის პრინციპები და მათ მიერ დაშვებული შეცდომების მიზეზები	521
§ 8. <i>ქართველთა ცხოვრების</i> განვითარების უმთავრესი ეტაპები	524

SUMMARY BY CHAPTERS

PART I - *The Georgian Chronicles* as a Historical Work

Chapter I - What is <i>the Georgian Chronicles</i>	527
§1. General Definition, §2. Titles of <i>the Georgian Chronicles</i> , §3. The Significance of <i>the Georgian Chronicles</i> ;	
Chapter II - The Issue of the Credibility of <i>the Georgian Chronicles</i> in Historiography	529
§1. The Issue of the Credibility of <i>the Georgian Chronicles</i> , §2. <i>The Georgian Chronicles</i> and Georgian-Foreign Historiography;	
Chapter III - Dissemination of <i>the Georgian Chronicles</i>	529
§1. Lists of <i>the Georgian Chronicles</i> , §2. <i>The Chronicle of the Conversion of Kartli and the Georgian Chronicles</i> , §3. Editions of <i>the Georgian Chronicles</i> , §4. Geography of the Dissemination of <i>the Georgian Chronicles</i> , §5. Publications of <i>the Georgian Chronicles</i> , §6. Translations of <i>the Georgian Chronicles</i> ;	
Chapter IV - The Authors of <i>the Georgian Chronicles</i> - Juansher Juansheriani and Leonti Mroveli	530
§1. The Essence of the Problem, §2. Leonti Mroveli, §3. Juansher Juansheriani, §4. <i>The Georgian Chronicles</i> by Juansher;	

PART II - Composition of *the Georgian Chronicles*

Chapter V - The Introductory Story of <i>the Georgian Chronicles</i> - <i>The Life of the Georgian Kings and Forefathers and Ancestors</i>	535
§1. The Erroneously Inserted “and”, §2. The Principle of Narrating History according to Dynasties, §3. Ancient Georgian-Armenian Genealogical Stories and their Synthesis, §4. Monk Arsen’s <i>Life of St. Nino, the Chronicle of the Conversion of Kartli and the Georgian Chronicles</i> by Juansher, §5. Targamosids and Kartlosids – Time and Sources of the Creation of the Life of the Forefathers;	
Chapter VI. The Structure of <i>the Georgian Chronicles</i> by Juansher	537
§1. History Depicted <i>from Time to Time</i> , §2. <i>The Life of Vakhtang Gorgasali</i> ;	
Chapter VII. The Post-Juansherian Period of the Development of <i>the Georgian Chronicles</i>	539
§1. Leontian Edition of <i>the Georgian Chronicles</i> , §2. 11 th -12 th cc. Continuers of <i>the Georgian Chronicles</i> , §3. Authors of <i>the Georgian Chronicles</i> and its Composition (from <i>the Life of Davit Aghmashenebeli</i> including the Story of the Zhamtaaghmtsereli), §4. <i>The Four-century-long History (1318-1696) of the Georgian Chronicles</i> ;	

PART III - What We Should Know while Working on *the Georgian Chronicles*

Chapter VIII. The Geography of the Georgian Chronicles	544
§1. Geographical, Geo-political and Ethnic Terms and Concepts in <i>the Georgian Chronicles</i> , §2. Gugark//Gogarena//Gurgan – the Domain of Armazian Kings, §3. The Geography of the Armenian-Georgian War in the Period of Kings Arsok and Armazian, §4. The Geography of	

the Life of Vakhtang Gorgasali, §5. Characteristics of Juansher's Geography, §6. The Geography of *the Life of the Forefathers*, §7. Terms Denoting Central and Local Governance in *the Georgian Chronicles*;

Chapter IX. The Chronology of <i>the Georgian Chronicles</i>	549
§1. The Pre-kingship Period and its Chronology in <i>the Georgian Chronicles</i> , §2. Chronology of the Pagan Kings of Kartli, §3. Chronology of the Period following the Rule of Pharsman II the Valiant up to Amazasp II (approx. 65-235), §4. Period from Kings Amazasp II up to and including Varaz (Great) Bakur (Kartli in about 235-405), §5. Chronology of the Kings of Kartli: Trdat, Pharsman, Mirdat/Buzmarios, Archil I, Mirdat the son of Archil and Vakhtang Gorgasali, §6. Mistakes in Dating the "Kings" of Kakheti (the Same as the Kings of "Khidar") and the Patricians of Kartli, §7. Chronological Table of the Kings and Patricians of Kartli;	
Chapter X. <i>The Georgian Chronicles</i> and the Church of Georgia	551
§1. The Plot of Bringing the Robe into Kartli, §2. Archbishops of Kartli in 428-517, §3. Archbishop of Kartli Michael and his Conflict with Vakhtang Gorgasali, §4. First Catholicoi of Kartli - Peter and Samoel, §5. Catholicoi of Kartli in 555-740, §6. Before Evnon and Afterwards;	
Chapter XI. The Worldview (Philosophy) of <i>the Georgian Chronicles</i>	554
§1. <i>The Georgian Chronicles</i> - the Creation of Multiple Authors, §2. <i>The Georgian Chronicles</i> and World History, §3. Teleology, Providentialism and Dualism, §4. The Origin of Nations and National Identity, §5. Socio-Political Views of <i>the Georgian Chronicles</i> , §6 <i>The Georgian Chronicles</i> and the Periodization of the History of Georgia, §7. Values and the Ethical-Moral Standpoint of <i>the Georgian Chronicles</i> , §8. Is Tamar the 4 th Hypostasis in <i>the Georgian Chronicles</i> ?, §9. Analysis of Historical Events in <i>the Georgian Chronicles</i> ;	
Chapter XII. Methodology of Working on <i>the Georgian Chronicles</i>	558
§1. Proper and Common Nouns and their Confusion, §2. Modernization of Terms and Ethnonyms, §3. Well-known World Historical Events or Characters, used as a Chronological Basis, §4. The Level of Kinship of Historical Figures, as a Chronological Basis, §5. Compressing//Extending the Epoch, §6. Attempt to Preserve Information, §7. Major Milestones in the Development of <i>the Georgian Chronicles</i> , §8. Methodology of Working on <i>the Georgian Chronicles</i> used by old Historians.	

ნაკვეთი I -

ქართველთა ცხოვრება როგორც ისტორიული თხზულება

თავი I

რა არის ქართველთა ცხოვრება?

თავის შინაარსი:

§ 1. ზოგადი განმარტება.....	17
§ 2. ქართველთა ცხოვრების სახელწოდებები	19
§ 3. ქართველთა ცხოვრების მნიშვნელობა.....	24

§ 1. ზოგადი განმარტება

ქართველთა ცხოვრება, იგივე *ქართლის ცხოვრება* საქართლოს და ქართველთა ისტორიას ნიშნავს. ასე ეწოდება შუა საუკუნეებში შექმნილ ქართულ ისტორიულ თხზულებას, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულია საქართველოს ისტორია უხსოვარი, მითოსური ხანიდან XVII ს-ის ჩათვლით, ხოლო ზოგიერთ, გვიანდელ (XVIII ს. ბოლო-XIX ს. პირველი ნახევარი), ხელნაწერში თხრობა XVIII ს-ის 40-იან წლებამდეც მოდის.

ასეთი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მომცველი მატიაზე ერთდროულად და ერთი ავტორის მიერ, ცხადია, არ დაწერილა. თხზულების ერთ-ერთი ანდერძ-მინაწერის ცნობით: „წიგნი ესე *ქართველთა ცხოვრებისა* ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“... ასე აყალიბებს მემატიაზე თავის თვალსაზრისს თხზულების ვახტანგ გორგასლამდელი ნაწილის შექმნაზე, რითაც აღნიშნულ მონაკვეთში განთავსებული ისტორიული მონათხრობის სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერას გვამცნობს.

ტრადიციულად განასხვავებენ ორ, „ძველ“ და „ახალ“ *ქართველთა ცხოვრებას*. ახალი *ქართველთა ცხოვრება* XVIII ს-ის პირველ მეოთხედში წარმოიშვა. ის, ვახტანგ VI-ის მიერ *ქართველთა ცხოვრების* ტექსტის გამართვა-შეცვების მიზნით შექმნილი „მეცნიერ კაცთა“ კომისიის რედაქციული მუშაობის ნაყოფია. ამ კომისიაში შესულ „მეცნიერთა“ ერთმა ჯგუფმა, *ქართველთა ცხოვრების* სხვადასხვა ხელნაწერის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გამართა თხზულების ტექსტი, სახელდობრ, დროთა განმავლობაში გადამწერთა მიერ დამახინჯებული ადგილები გაასწორა. ამავე დროს, ტექსტში შეიტანა არაერთი ახალი მასალა, უმთავრესად, წმინდანთა ცხოვრებები (საკითხი უფრო დაწვრილებით გაშუქებულია, აქვე, თავი III, §3). იმავე კომისიის მეორე ჯგუფმა, რომელსაც ბერი ეგნატაშვილი ხელმძღვანელობდა, შეავსო *ქართველთა ცხოვრების* ქრონოლოგიური ხარვეზი - არსებულ ტექსტს XIV-XVII სს. ისტორია დაუმატა. *ქართველთა ცხოვრების* ამ, ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი კომისიის ხელიდან გამოსულ ვერსიას, იმავე ვახტანგისეულ რედაქციას და შემდგომ მის საფუძველზე შექმნილ გავრცობილ-გადაკეთებულ რედაქციებს ახალ *ქართველთა ცხოვრებას* უწოდებენ (ვრცლად იხ. გრიგოლია 1954, გვ. 197-325).

ქართველთა ცხოვრების იმ ვერსიას, რომელსაც ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა“ კომისიის რედაქცია და განვრცობა არ განუცდია და, შესაბამისად, რომლის თხრობაც უძველესი (მეფობამდელი) ხანიდან დაწყებული გიორგი ბრწყინვალის მეფობამდე, ანუ 1318 წლამდე პერიოდს მოიცავს, ვახტანგისეულისაგან განსასხვავებლად *ძველ ქართველთა ცხოვრებას* უწოდებენ. ახალი *ქართველთა ცხოვრება* თუ ვახტანგ VI-ისა და მის „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ხელიდან გამოსული, *ძველი ქართველთა ცხოვრება*, მნიშვნელოვანწილად ლეონტი მროველის (XI ს.) სახელს უკავშირდება. მას ეკუთვნის თხზულების ახალი შესავალი - *ცხოვრება ქართველთა მეფეთასა პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა*, აგრეთვე, *წინოს მიერ ქართლის მოქცევის* ვრცელი თხრობა, რომელიც მან ტექსტში მანამდე არსებული ქართლის მოქცევის მოკლე თხრობის ნაცვლად შეიტანა და *არჩილის წამების* განვრცობილი, უფრო ბუსტად, ახლად დაწერილი ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც ამავე წამების შესახებ არსებულ მოკლე და მშრალ ინფორმაციას ჩაენაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ ლეონტის არ ეკუთვნის *ძველი ქართველთა ცხოვრების* უდიდესი ნაწილი - ტექსტი ჯუანშერ არჩილის ძის ცხოვრების თხრობით დაწყებული (VIII-ის 60-იანი წლები) და, პირობითად, ჟამთააღმწერლად წოდებული მემატიაწის თხრობით დამთავრებული (1318 წლამდე ამბები), *ქართველთა ცხოვრების* ამ ე. წ. „ძველ“ რედაქციას, თამამად *ლეონტისეული რედაქცია* შეიძლება ვუწოდოთ.

მართლაც, ლეონტისეულმა შესავალმა, ფაქტობრივად, თხზულება კონცეპტუალურად გარდაქმნა. ეს გარდაქმნა შეეხო ქართველთა ისტორიის ძირეულ საკითხებს, როგორებიცაა:

ქართველებისა და ქართული ენის წარმოშობა, ისევე როგორც ქართლის პირველი მეფეების - აზოსა და ფარნავაზის წარმომავლობა. ლეონტისვე ეკუთვნის უძველესი დროიდან [დ]არჩილის წამების¹ შესახებ მოკლე ინფორმაციის ჩათვლით, ანუ VI საუკუნის შუა წლებამდე ისტორიის შესახებ ჯუანშერისეული თხრობის საფუძვლიანი რედაქტირება. ისევე, როგორც *ქართველთა ცხოვრების ერთ-ერთ ხელნაწერში* არსებული მეფეთა და ერისმთავართა (VI ს-ის II ნახევარი - VII ს-ის I ნახევარი) მშრალი ჩამონათვლის შევსება (აღნიშნულ საკითხებს ქვემოთ უფრო ვრცლად შევხებით).

სამწუხაროდ, ამ სამუშაოს შესრულების დროს, ლეონტის მიერ დაშვებულ იქნა მნიშვნელოვანი შეცდომები. მან ვახტანგ გორგასლის შვილები - დასავლეთ საქართველოში სპარსელების წინააღმდეგ მებრძოლი უფროსი ვაჟი დარჩილი (გვიანდელ ხელნაწერებში არჩილად ქცეული) და მისი უმცროსი ძმა მირი (მირდატი) არაბობის პერიოდის ქართლის ერისმთავრის, სტეფანომ III ბაკურიანის შვილებად - უფროს ვაჟ მირად და მის უმცროს ძმა არჩილად გაიაზრა, ისევე, როგორც სტეფანომ II ადარნასეს ძე და სტეფანომ III ბაკურიანი ერთ პიროვნებად მიიჩნია. ამიტომაც, დარჩილისა და მირის შესახებ თხრობა ამ, სინთეზური სტეფანომის შემდეგ მოათავსა. ტექსტს თან გადმოჰყვა ჯუანშერისეული ანდერძ-მინაწერიც, რომელიც ლეონტიმ, თავის მხრივ, განავრცო.

ამ ორ, ტრადიციულ (ძველ და ახალ) ვერსიას, უცილობლად, არქაული *ქართველთა ცხოვრებაც* უნდა დაემატოს. ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად არ შემოგვრჩა. თუმცა, მისი სტრუქტურა, ისევე როგორც მასში მოთავსებული თხრობა, ერთი მხრივ, შემოკლებული, კონსპექტური სახით შემოინახა ქრონიკამ, რომელიც *მოქცევაჲ ქართლისაჲს* შესავალს ქმნის, და კიდევ უფრო შემოკლებული სახით არსენ ბერის *ნინოს ცხოვრების* ბოლოთქმამ, მეორე მხრივ, ლეონტის მიერ გავრცობილი და რედაქტირებული სახით *ძველი ქართველთა ცხოვრების* იმ მონაკვეთმა, სადაც ალექსანდრე მაკედონელის შემოსევიდან მოყოლებული, ვახტანგ გორგასლის შვილების - დარჩილისა და მირდატის (მირის) მმართველობით დამთავრებული, ამბები (კახეთის „მეფეებისა“ და ერსმთავრების შესახებ თხრობის გამოკლებით) გვეძლევა. არქაულ *ქართველთა ცხოვრებას ჯუანშერისეული ქართველთა ცხოვრებაც* შეიძლება ვუწოდოთ (დანვრილებით იხ. ქვემოთ, თავი IV, §3, §4).

¹ ამ საკითხს ქვემოთ საგანგებოდ ვხებით, ახლა კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, როგორც ამ მიმართულებით ჩარშავებულმა კვლევამ წარმოაჩინა, წამება, სინამდვილეში, მოხდა მეფე დარჩილ ვახტანგ გორგასლის ძისა, რომელიც VI ს-ის პირველ ნახევარსა და შუა წლებში მოღვაწეობდა და არა ერისმთავარ არჩილ სტეფანომის ძისა, რომელიც VIII ს-ის მოღვაწე იყო.

§ 2. ქართველთა ცხოვრების სახელწოდებები

თხზულება, თვით ქართველთა ცხოვრების ხელნაწერებში, ისევე, როგორც სხვა ქართულ წერილობით ნაშრომებში, სხვადასხვა სახელით გვხვდება, რომლებიც ტიპოლოგიურად შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ. I ჯგუფი მოიცავს სახელწოდებებს, რომლებსაც ქართველებისა და საქართველოს ისტორიის მნიშვნელობა აქვთ: *ქართველთა ცხოვრება, ცხოვრება ქართველთა, ქართლის ცხოვრება, მათიანე ქართლისა, მათიანე ქართველთა ცხოვრებისა*.

სახელთა ამ რიგში, როგორც ვხედავთ, აქცენტი კეთდება ქვეყანასა და ხალხზე – მათიანე, ცხოვრება, ისტორია – სინონიმებია. რაც შეეხება პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ცნებას „ქართლი“, ის IX–X სს-ში საქართველოს მნიშვნელობით იხმარებოდა, ვინაიდან სახელწოდება „საქართველო“ იმხანად ჯერ წარმოქმნილი და, მით უფრო, დამკვიდრებული, არ იყო. ამგვარად, I ჯგუფში გაერთიანებული სახელები საქართველოსა და ქართველთა ისტორიას გულისხმობენ.

თხზულების სახელწოდებების II ჯგუფი წინა პლანზე მეფეებსა და მათ მოღვაწეობას აყენებს: *მეფეთა ცხოვრება, ამბავი² მეფეთა, წიგნი მეფეთა, გუჯარი მეფეთა*, რაც მეფეთა ისტორიას ნიშნავს (იხ. სანაძე, 1999, გვ. 98–109).

ჩამოთვლილი სახელწოდებებიდან ყველაზე ძველი *ქართველთა ცხოვრებაა*. ის, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჯერ კიდევ, VI ს-ის მოღვაწისა და *ქართველთა ცხოვრების* პირველშემქმნელის, ჯუანშერ ჯუანშერიანის ანდერძ-მინაწერში იხსენიება.

ამავე სახელს უწოდებს აღნიშნულ თხზულებას საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქი, ცნობილი მოღვაწე და მოაზროვნე ნიკოლოზ გულაბერიძე (1156–1178 წწ.) თავის თხზულებაში – *სვეტიცხოვლის საკითხავი*:

„რამეთუ ვინ გამონუღილვით მეძიებლობდეს დასაბამსა და ვინაობასა და სადაობასა ნეტარისა მის ნინოსასა, წიგნი იგი ხელად მიიღენ აღწერილი მონერილობით მოთხრობისათვის *ქართველთა ცხოვრებისა* და მისგან გეუნყოს ყოველივე აღმავსებელად ჩვენისა ნაკლულოვანებისა“ (საბინინი, 1882, გვ. 73).

ამავე სახელწოდებით იხსენიებს ამ თხზულებას XIII ს-ის სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი³:

„აჰა ესერა ვსცანთ მცირედ რამე *ცხოვრებისაგან ქართველთასა*“ (ორბელიანი, 1978, გვ. 29).

აღსანიშნავია, რომ სტეფანოზ ორბელიანი *ქართველთა ცხოვრების* გვერდით ამავე თხზულების სახელწოდების მეორე ვერსიას – *ქართლის ცხოვრებასაც* იყენებს (ორბელიანი, 1978, 30, 117). XII ს-ის სომხური თარგამანიც წიგნს ორივე სახელწოდებით იხსენიებს (ქცძსთ., 1953, გვ. 208). *ქართველთა ცხოვრებას* უწოდებს თხზულებას არჩილ მეფის მეტაფრასული წამებაც:

² პ. ინგოროყვა შეეცადა დაესაბუთებინა, რომ „ამბავი“ სრულიად კონკრეტული ჟანრის თხზულების აღსანიშნავად იხმარებოდა და მას ეპიკურ-ისტორიული რომანი უწოდა (ინგოროყვა, 1939, გვ. 409, 419). ამ მიმართულებით წარმოებულმა კვლევამ ეს არ დაადასტურა. სახელწოდებების: „ამბავი“, „მატიანე“, „ცხოვრება“ ურთიერთშენაცვლებადობა და სხვადასხვა ჟანრის შემთხვევაში გამოყენება, ამკარას ხდის, რომ სამივე ზოგადი ხასიათის სახელია და არა რაიმე კონკრეტული ჟანრის თხზულების აღმნიშვნელი (Аласаниа, 1984, გვ. 55).

³ სტეფანოზ ორბელიანი წარმოშობით ქართველი იყო. ის გიორგი III-ის დიდმოხელის, ივანე ორბელის ოჯახს ეკუთვნოდა, რომელიც გიორგი III-მ ლაღაღის გამო ამოწყვიტა.

„ვითარცა მოგვითხრობს მათიანე ქართველთა ცხოვრებისა“ (ყუბანიეშვილი, 1946, გვ. 248)

სახელწოდება ქართლის ცხოვრება პირველად თავს იჩენს XII ს-ის I ნახ-ში, დემეტრე I-ის თანამედროვე საეკლესიო მწერლის - არსენ ბერის ნმინდა ნინოს ცხოვრების მეტაფრასულ რედაქციაში:

„შემდგომად⁴ ფრიადნი ჭირნი მოიწინეს სპარსთაგან ქართველთა ზედა, და ფრიადნი სულნი მოსწყვდნეს და ქვეყანანი დაიპყრნეს და ფრიადნი იწამნეს სახელისათვის ქრისტესისა... ამას ყოველსა ქართლისა ცხოვრებისა წიგნი ვრცელად მოგვითხრობს“ (არსენ ბერი, 1971, გვ. 48).

თხზულება ამავე სახელწოდებით მოიხსენიება ერთი საუკუნის შემდეგ (1263 წ.) შედგენილ საეკლესიო კრების მიმართვაში დავით VI-ისადმი (დავით ლაშას ძე), სადაც ვკითხულობთ:

„სამოცდამეათხუთმეტენი შვილნი ხართ თქვენთა გუართანი და რომელი მეფე თქვენთა ოდენტა ჭირთა, ლუანლთა და განსაცდელთაგან არა წსნილა, ვითა ღმერთსა, თქუენსა მცსნელსა თქვენ უწსნიხართ და ამ სამოცდაათხუთმეტთა თქუენთა გარდასრულთა მეფობასა შიგან უფროდასი და უმრავლესი ჟამი ამისაგან უძნელესი და უბოროტესი ყოფილა, ვითა ქართლისა ცხოვრებად გამოაჩენს“ (ქსძ,⁵ 1970, გვ. 162).

სახელწოდება ქართლის ცხოვრება თხზულებას IX-X სს-ში უნდა დარქმეოდა, როდესაც „ქართლის“ მნიშვნელობა ისე გაფართოვდა, რომ ის კონკრეტული რეგიონის სახელწოდებიდან ქართული მხარეების შემკრებლობითი შინაარსის ცნებად იქცა (თუმცა, თავისი ვიწრო მნიშვნელობაც დღემდე შეინარჩუნა), რასაც X-XI სს. გასაყარიდან „საქართველო“ ჩაენაცვლა (იხ. მენაბდე, 1953). აღნიშნულ საუკუნეებში „ქართლის“ მნიშვნელობის გაფართოების კლასიკური გამოხატულებაა გიორგი მერჩულის (X ს.) სიტყვები:

„ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხოლო კვრილედსონ ბერძნულად ითქმის, რაც ნიშნავს - უფალო შეგვიწყალებ“ (მერჩულე, 1963, გვ. 290).

XV ს-ის ბოლოს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის კვალდაკვალ ტერმინი „ქართლის“ მნიშვნელობა კვლავაც დავიწროვდა და ის მხოლოდ ერთ-ერთი ქართული სამეფოს მნიშვნელობამდე დავიდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიის ამსახველი ამ თხზულების სათაურად, ინერციით კვლავაც იხმარებოდა ქართლის ცხოვრება. პარალელურად, არც სახელწოდება ქართველთა ცხოვრება მისცემია დავიწყებას. ასე უწოდებს მას თხზულების XVIII ს-ის ზოგიერთი ხელნაწერის ანდერძ-მინანერიც, მაგ. ერთ-ერთი ნუსხის მინანურში თეიმურაზ ბაგრატიონი გვაუწყებს:

„ქ. ამაღლებულის მეფის გიორგის ძემან თეიმურაზ ვინათხოვრე წიგნი ესე ქართველთა ცხოვრება მაღალ ღირსის წინამძღვრის ევთუიმისაგან“ (გრიგოლია, 1954, გვ. 171).

XVIII ს-ის დასაწყისში თხზულების შევსება-რედაქტირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარა ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ.⁶ მან თხზუ-

⁴ იგულისხმება ვახტანგ გორგასლის შემდგომი ხანა.

⁵ ქსძ - ქართული სამართლის ძეგლები

⁶ კომისიის მუშაობის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი III, §3.

ლების სათაურად იმხანად უფრო გავრცელებული ვერსია - *ქართლის ცხოვრება* აირჩია და ამით ის, ფაქტობრივად, დააკანონა.

ამის შემდეგ, უკვე XIX - XX სს-ში *ქართლის ცხოვრება*, საქართველოს ისტორიის შემცველი ამ თხზულების, პრაქტიკულად, ერთადერთ სათაურად იქცა. გამონაკლისად მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის ნიკო დადიანისეული ვერსია გვევლინება, რომელსაც მისმა ავტორმა *ქართველთა ცხოვრება* უწოდა. XX ს-ში თხზულების ბეჭდურმა გამოცემებმა მის სახელწოდებად *ქართლის ცხოვრების* დამკვიდრებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

დღევანდელი ქართველისთვის სახელწოდება *ქართლის ცხოვრება* სპეციალური განმარტების გარეშე გაუგებარი გახდა, ვინაიდან ტერმინმა „ქართლმა“ დიდი ხანია საქართველოს მნიშვნელობა დაკარგა და ის საქართველოს მხოლოდ ერთ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონთან - ქართლთან ასოცირდება. ამიტომ, შინაარსობრივად, ბევრად უფრო გამართლებულია თხზულების სახელად *ქართველთა ცხოვრება* მივიღოთ. რა თქმა უნდა, სათაურის თვითნებური გამოცვლა, წყაროებში სახელწოდების ამგვარი, პარალელური ვერსიის არარსებობის შემთხვევაში, სრულიად დაუშვებელი იქნებოდა. მაგრამ, ვინაიდან *ქართველთა ცხოვრება* აღნიშნული ისტორიული მათიანის დღეისათვის მივიწყებული, მაგრამ, თავის დროზე, რეალურად არსებული, ამასთანავე, ყველაზე უფრო ადრინდელი, თავდაპირველი ფორმაა, ამიტომ, ჩვენ სასურველად მიგვაჩნია მისი აღდგენა და დამკვიდრება.

მეორე ჯგუფის სახელებიდან (*მეფეთა ცხოვრება*, *ამბავი მეფეთა*, *ნიგნი მეფეთა*, *გუჯარი მეფეთა*), უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გვინდა შევაჩეროთ *გუჯარი მეფეთასა* და *ნიგნი მეფეთას* ურთიერთმიმართებაზე. ორივე ეს სახელწოდება გვხვდება საკუთრივ *ქართველთა ცხოვრებაში*, აქედან, პირველი იხსენიება VIII ს-ის I ნახევრის ამბების თხრობაში, მეორე კი - XIV ს-ის ანონიმი ავტორის, ჟამთააღმწერლის *ასწლოვან მათიანეში*. მემათიანე ბიზანტიის კეისარს - ლეონს აფხაზთა ერისთავისადმი მიწერილ წერილში ათქმევინებს:

„ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩუენგან ქმნილ არს ვნება და მეფეთა მათთაგან ჩუენდა მომართ თანადადგომა და რგება. ან ესე მესამე მსახურება და რგება დადვეს ჩუენ თანა საყდარსა ამას სამეუფოსა: პირველად ნათელი მიიღეს ჴელსა ქუეშე ჩუენსა; კუალად შემუსრვისაგან დაარჩინეს დიდი ქალაქი პონტოსა, და შორის ჩუენსა და შორის სპარსთა ყვეს მშვდობა. რამეთუ იგივე ვახტანგ მეფე შუამდგომელ იქმნა, და ჴრმლითა მისითა უკმოუღო სამეფოსა ამას პალესტინე და ორი ნაწილი ჯაზირეთისა. ან, თუმცა ღმერთსა არა მაგათ მიერ დაებრკოლა ბოროტი ეგე მტერი, შემომ-ცა-სრულ იყო ვიდრე კოსტანტინეპოლედმდე, და შვილთა შორის ნებროთისთა წარჩინებულ ყვნა ღმერთმან ეგენი, რამეთუ არა მოაკლდეს ნათესავსა მაგათსა ბრძენი გულისხმისმყოფელი და მბრძოლი, ვითარცა ესე მოგვთხრობს ჩუენ **აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით**“ (ქრ. ცხ., 1955, გვ. 239-240).

ამკარაა, რომ ქართველი ისტორიკოსი ბიზანტიის კეისრის პირით *ქართველთა ცხოვრების* შინაარსის გათვალისწინებით გადმოგვცემს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებს პირველი ქრისტიანი მეფის - მირიანიდან მოყოლებული ვახტანგ გორგასლის ეპოქის ჩათვლით, რომლის შესახებ ცოდნა ბიზანტიის კეისარს ვითომდა მიუღია *გუჯარიდან*: „რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით“. რაც თანამედროვე ქართულზე შემდეგნაირად ჟღერს: როგორც ამას მოგვითხრობს ნიგნი, სადაც მოთხრობილია მათი წარმომავლობითა და სამფლობელოებით წარჩინებული (ქართველი) მეფეების შესახებ.

ძველი სპარსულიდან შემოსული „გუჯარი“ შინაარსობრივი შესატყვისია ბერძნულიდან შემოსული „ნიგნის“ და ორივე კი - ქართული „წერილისა“, რომელიც თავდაპირველად, ზოგადად ყოველგვარ დაწერილ ტექსტს გულისხმობდა (ანდრონიკაშვილი, 1966, გვ. 305-306;

აბულაძე, 1973, გვ. 103). გუჯარის მნიშვნელობა თანდათან დავინროვდა და მოგვიანებით, XV ს-დან ჩვენში იურიდიული აქტის აღმნიშვნელ ერთ-ერთ ტერმინად იქცა (ჯავახიშვილი, 1996, გვ. 408). მაგრამ ადრეული ხანისათვის „გუჯარი“ და „წერილი“ სინონიმებია, ორივე კი - წიგნის შესატყვისი. ამგვარად, *გუჯარი მეფეთა* და *წიგნი მეფეთა* სრულ შესატყვისებად გვევლინებიან და, ეჭვგარეშეა, რომ ორივე სწორედ *ქართველთა ცხოვრებას* გულისხმობს. *ქართველთა ცხოვრება* იგულისხმება სახელწოდებებში: *ცხოვრება მეფეთა* და *ჰანბავი მეფეთა*, რაც მეფეთა ისტორიას გულისხმობს და შინაარსობრივად *წიგნი მეფეთას* იდენტურია.

დროთა განმავლობაში *ქართველთა ცხოვრებამ*, რედაქციული ჩარევის გზით, შინაარსის გაფართოება-გამრავალფეროვნება განიცადა. ერთ-ერთმა ავტორ-რედაქტორმა, ლეონტი მროველმა მირიან მეფის ცხოვრების ამსახველ ტექსტში *ქართველთა მოქცევის შესახებ*, მანამდე იქ არსებული მოკლე თხრობის ნაცვლად, ვრცელი ტექსტი შეიტანა. ამის შემდეგ *ქართველთა ცხოვრება* სამოქალაქო ისტორიის აღმწესხავი წიგნიდან საეკლესიო ისტორიის გადმომცემ თხზულებადაც იქცა, ანუ, მასში *მეფეთა ცხოვრება* (საერო ისტორია) და საეკლესიო ისტორია - *მოქცევა ქართლისა* გაერთიანდა. ამის შემდეგ, ბოგჯერ სახელწოდებები: *წიგნი მეფეთა*, *ცხოვრება მეფეთა* და *ჰანბავი მეფეთა*, *ქართველთა ცხოვრებაში* მოთხრობილ სამოქალაქო ისტორიას, ანუ მეფეთა ისტორიას მიემართება, ხოლო *მოქცევა ქართლისა* საეკლესიო ისტორიის უმთავრესი მოვლენის - ქართლის გაქრისტიანების შესახებ მოთხრობას. ეს კარგად ჩანს არსენ ბერის ანდერძ-მინაწერიდან:

„ესე წეტარისა წინოღს ცხოვრებად შეუწყობელად და განბნეულად *ქართლისა მოქცევასა* თანა და *ჰანბავსა მეფეთასა* თანა აღრეულად სწერია“ (არსენ ბერი, 1971, გვ. 51).

ეს თანამედროვე ქართულზე შემდეგნაირად ჟღერს: „წეტარი წინოს მოღვაწეობის ამბები ქართლის გაქრისტიანებისა და მეფეების შესახებ თხრობაში აღრეულად (შეუწყობლად, გაბნეულად) წერია“ (ანდერძ-მინაწერის გაგების შესახებ იხ. ჩხარტიშვილი, 1987, გვ. 117-118).

ამ შემთხვევაში, არსენ ბერი თხზულების თემატურად განსხვავებულ ნაწილებს გულისხმობს, რაც კარგად ჩანს ჩვენ მიერ, უკვე ზემოთ მოყვანილი ციტატიდან, სადაც იგივე არსენ ბერი გვამცნობს:

„.....ამას ყოველსა *ქართლისა ცხოვრებისა* წიგნი ვრცელად მოგვითხრობს“ (არსენ ბერი, 1971, გვ. 51).

როგორც ვხედავთ, არსენ ბერი თხზულების ერთიან სახელწოდებად *ქართლის ცხოვრებას* ხმარობს, რაც შეეხება ანდერძ-მინაწერში მოხსენიებულ *ქართლის მოქცევასა* და *მეფეთა ჰანბავს*, ისინი აშკარად *ქართლის ცხოვრების* თემატურად განსხვავებულ ნაწილებს მიესადაგებიან (იხ. არახამია, 2002, გვ. 95) და არა დამოუკიდებლად არსებულ თხზულებებს, როგორც ამას კ. კეკელიძე ფიქრობდა (კეკელიძე, 1957, გვ. 190, შენიშვნა 1).

მეფეთა წიგნი და *მეფეთა ცხოვრება* რომ ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება, ამაზე მეტყველებს საკუთრივ *ქართველთა ცხოვრების*, კერძოდ, ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილი, სადაც მემპატიანე, რაჭის ერისთავის, კახაბერ კახაბერის-ძის დავით რუსუდანის ძისაგან (დავით ნარინი 1248-1293 წწ.) განდგომის ამბავს მოგვითხრობს (ვციტირებთ *ქართველთა ცხოვრების* XVII ს-ის ფრაგმენტიდან, სადაც ეს წინადადება უკეთაა დაცული):

„კახაბერი, რომელი იყო თესლით ბოროტი, ვითარ გვაუწყებს *წიგნი მეფეთა*, ნაქმართა ბაღუაშისთა და ნათესავთა მისთა“ (სილოგავა, 2009, გვ. 7).

ვინაიდან ცნობები ლიპარიტ ბაღვაშის, მისი შვილებისა და მემკვიდრეების საქმიანობის („ნაქმართა“) შესახებ სწორედ, *ქართველთა ცხოვრებაში*, კერძოდ, აშოტ კურაპალატიდან დავით აღმაშენებლის ცხოვრებამდე ისტორიის ამსახველ მონაკვეთსა და შემდგომ, თვით დავით აღმაშენებლის ისტორიაშია განთავსებული, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ *წიგნი მეფეთა*

აქ ზოგადად *ქართველთა ცხოვრების* სინონიმად გამოიყენება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *ქართველთა ცხოვრება* სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი მონაკვეთებისაგან შედგება, რაც ისტორიკოსთა დიდ ნაწილს საიმისოდ განაწყობს, რომ აღნიშნულ ძეგლს ისტორიულ თხზულებათა კრებული უწოდოს.

სინამდვილეში *ქართველთა ცხოვრებას*, განსაკუთრებით, *დავით აღმაშენებლის ცხოვრების* ჩათვლით, კლასიკური გაგებით, ისტორიულ თხზულებათა კრებულად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან, ძველ ქართველ ისტორიკოსებს, ყოველ მოცემულ შემთხვევაში, ახალი ისტორიული თხზულება ე. წ. „ისტორიულ კრებულში“ კი არ შეჰქონდათ, არამედ მას ისე გადაამუშავებდნენ, რომ *ქართველთა ცხოვრების* განვრცობისას გადაბმისა და გაგრძელების კვალი ნაშაღათ. რაც შეეხება *ქართველთა ცხოვრების* დავით აღმაშენებლის შემდგომ მონაკვეთს, აქ, მცხეთური რედაქციის ნუსხებში (მარიამისეული, მაჩაბლისეულის ძველი ნაწილი, 1697 წლის ნუსხა), გადახრა შეიმჩნევა ისტორიულ თხზულებათა კრებულად ქცევისაკენ, ვინაიდან დავით აღმაშენებლის მეფობის ამსახველ ნაწილს, ნუსხათა ერთ ჯგუფში, ქრონოლოგიის დარღვევით მიუმატეს სუმბატ დავითის ძის *ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა*, ნუსხათა სხვა ჯგუფში თამარის პირველი ისტორიკოსის *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი* და ოთხი მეფის ისტორიის აღმწერი მოკლე *ქრონიკა* (ისტორიოგრაფიაში *ლაშა-გიორგის დროინდელი მართანის* სახელით ცნობილი), შემდეგ, აგრეთვე ქრონოლოგიის დარღვევით, იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება შეიტანეს. მოგვიანებით „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ თხრობის ქრონოლოგიური მთლიანობა აღადგინა (იხ. ქვემოთ). ამგვარად, *ქართველთა ცხოვრება* არ არის კრებული, თუმცა ის მრავალავტორიანი თხზულებაა, რომლის მიზანი იყო არა სხვადასხვა ავტორის მიერ დაწერილი თხზულებების ერთ კრებულად შეკვრა, არამედ საქართველოს ისტორიის თხრობის შემცველი ერთიანი, გაბმული თხზულების შექმნა. რაც შეეხება კრებულს, ძველ ქართველ მწიგნობრებს კრებულის შექმნის პრინციპის არცოდნას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. მათ არც კრებულების შედგენის ტრადიცია აკლდათ, გავიხსენოთ, თუნდაც, *შატბერდის კრებული*, საყოველთაოდ ცნობილი ჰიმნოგრაფიული კრებულები, სადაც ნაწარმოებები მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან. ასე რომ, ძველმა ქართველმა მწიგნობრებმა კრებულის შედგენა კარგად უწყოდნენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, *ქართველთა ცხოვრება* სავსებით შეგნებულად იწერებოდა, როგორც ერთიანი *წიგნი, ისტორია, ცხოვრება*.

ამგვარად, *ქართველთა ცხოვრება* ისტორიული თხზულებების კრებულად ვერ ჩაითვლება, ამას გვკარნახობს მისი დანიშნულება. ეს კი, როგორც უკვე ითქვა, *ქართველთა* ერთიანი მწყობრი ისტორიის შექმნა-წარმოჩენა იყო.

რაც შეეხება *ქართველთა ცხოვრების* მრავალავტორიანობას, უფრო მეტი სიზუსტისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მრავალავტორიანობა კრებულისათვის დამახასიათებელი მოვლენა როდია, სადაც თითოეულ ნაწარმოებს თუ ავტორი არა, საკუთარი მკვეთრად გამოხატული დასაწყისი და დასასრული აქვს, არამედ, განმვრცობ-მემატიანეთა მიერ წინამორბედთა ისტორიული ქრონიკები იმ ზომაზეა რედაქტირებული, რომ ისინი ერთიანი, გაბმული ისტორიული თხრობის ორგანულ მონაკვეთებად იქცნენ, რის გამოც, ამ ქრონიკების ერთ დროს დამოუკიდებელ თხზულებებად არსებობის კვალი ან პირწმინდად ნაშლილია, ან საკმაოდ ძნელად შეიმჩნევა.

§ 3. ქართველთა ცხოვრების მნიშვნელობა

ძველ ქართულ საისტორიო წყაროს - *ქართველთა ცხოვრებას* - ქართულ ისტორიოგრაფიაში უნიკალური ადგილი უჭირავს. მართალია, ქართული ეპიგრაფიკული, ნუმისმატიკური თუ დოკუმენტური ძეგლები, ზოგჯერ, უფრო ზუსტ და კონკრეტულ ცოდნას გვაძლევენ საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ მათი მონაცემები, ამ წყაროთა ტიპოლოგიური თავისებურებიდან გამომდინარე, თუნდაც მხოლოდ ინფორმაციული თვალსაზრისით, ვერ შეედრება ცოდნის იმ მოცულობას, რასაც *ქართველთა ცხოვრება* საქართველოს ისტორიის შესახებ გვთავაზობს.

ეს მით უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ *ქართველთა ცხოვრების* შემდგენელი ისტორიკოსები, გარდა ადგილობრივი წერილობითი ძეგლებისა, უხვად იყენებდნენ სხვა ხალხების ენებზე (არამეულ, სპარსულ, ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, სომხურ და სხვ.) შექმნილ ისტორიულ თხზულებებს, რომლებშიც ამ ხალხების ქართველებთან ურთიერთობის ისტორია იყო ასახული. ყოველივე ეს ქართველი ისტორიკოსების არაორდინარულ განსწავლულობაზე მეტყველებს. ამით ძველი ქართული ისტორიოგრაფია, კერძოდ, *ქართველთა ცხოვრება* საგრძნობლად განსხვავდება ბერძნულ-ბიზანტიური ისტორიოგრაფიისაგან, რომელიც მხოლოდ საკუთარ წყაროებს ეყრდნობა. ამავე კუთხით, *ქართველთა ცხოვრება* საგრძნობლად განსხვავდება ძველი სომხური ისტორიოგრაფიისგანაც - ქართველი ისტორიკოსების მიერ სომხური თხზულებების გათვალისწინების ხარისხი ბევრად აღემატება ამ უკანასკნელთა მიერ ქართული წყაროების ცოდნა-გამოყენების ხარისხს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საკუთრივ *ქართველთა ცხოვრების* მიერ გამოყენებული სომხური თუ ბერძნულენოვანი თხზულებებისა და, შესაბამისად, მათში არსებული ინფორმაციების გარკვეული ნაწილი თვით ორიგინალების ენებზე აღარ შემოგვრჩა ან შემოგვრჩა საგრძნობლად შეცვლილ-რედაქტირებული სახით, მაშინ *ქართველთა ცხოვრებაში* შემონახული ცნობების მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალნათელი გახდება.

მაგალითისათვის ძვ. წ. I ს-ის 30-20-იან წლებში მიმდინარე ქართველ-სომეხთა ომის *ქართველთა ცხოვრებისეული* აღწერა შეიძლება მოვიყვანოთ. ამ შემთხვევაში, *ქართველთა ცხოვრების* წყარო უნდა იყოს ძვ. წ. I ს-ის II ნახევრის ქართველ-სომეხთა ომის ამსახველი ფრიად ძველი და, როგორც ჩანს, ამბების თანადროული *ქრონიკა*, რომელიც, საფიქრებელია, თავდაპირველად ბერძნულად ან არამეულად იყო დაწერილი, ხოლო შემდგომში სომხურად ითარგმნა. ამ სომხურენოვანი ტექსტიდან უკვე ქართველი მემატიანე სარგებლობს, თუმცა აღნიშნული ომის შესახებ *ქართველთა ცხოვრებაში* დაცული ინფორმაციები ბევრად აღემატება იმას, რამაც მოვსეს ხორენაცის *სომხეთის ისტორიაში* პოვა ასახვა. ამ ომის შესახებ თხრობა სომხური საზოგადოებისათვის, როგორც ჩანს, ნაკლებ პრიორიტეტულობის გამო, საკუთრივ მოვსეს ხორენაციმ (ან მისმა გვიანდელმა რედაქტორმა), თავის წყაროსთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეამოკლა. ასე რომ, თუ არა *ქართველთა ცხოვრება*, მოვსეს ხორენაცის აღნიშნულ საკითხზე ფრიად ბუნდოვანი თხრობის გამო, სომეხი უფლისწულის, ბარენის დატყვევება-გათავისუფლების, ისევე, როგორც თვით ომის მიზეზების, მსვლელობისა და ეტაპების შესახებ ბევრს ვერაფერს გავიგებდით. რაც შეეხება ქართველ მემატიანეს, ქართველთა მიერ მოპოვებული საბოლოო გამარჯვების გამო, მან ამ ომის პერიპეტიების შესახებ თხრობა *ქართველთა ცხოვრებაში* ბევრად უფრო გავრცობილი - სრულყოფილი სახით შეიტანა. ასეთი მაგალითი არაერთი შეიძლება მოვიყვანოთ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გარდა კონკრეტული ისტორიული ინფორმაციისა, რასაც *ქართველთა ცხოვრება* გადმოგვცემს და, რასაც ჩვენ, პირობითად, ამ ძეგლის მატერიალურ მხარედ მოვიაზრებთ (ფაქტები, მოვლენები), არანაკლებ ღირებულია მისი სულიერი ასპექტი, ანუ მსოფლალქმა (ფილოსოფია) - ყოველივე ის, რაც *ქართველთა ცხოვრებას* შაუსაუკუნოვანი ჩვეულებრივი ქრონიკა-მატიანეებისაგან განასხვავებს და მას ქართველი ხალხის ეროვნული

ცხოვრების, მისი ეროვნული ცნობიერებისა და მისი სახელმწიფოებრივი ისტორიის ამსახველ, კონცეპტუალურად გამართულ, მწყობრ და სისტემურ ძეგლად აქცევს.

ქართველთა ცხოვრების სულიერი ასპექტის კვლევისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ, ამ შემთხვევაში, შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს ძეგლში გადმოცემული ცალკეული ფაქტების სიზუსტეს (თუმცა ქვემოთ დავინახავთ, რომ, მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური თუ სხვა სახის აღრევებისდა მიუხედავად, *ქართველთა ცხოვრების* მიერ მოწოდებული ინფორმაციის უდიდესი, მათ შორის IX საუკუნის წინარე პერიოდის მომცველი ნაწილი სრულ ნდობას იმსახურებს).

ქართველთა ცხოვრება, რომელიც თვითონ წარმოადგენდა ქართველი ხალხის სულიერი განვითარებისა და სიმწიფის ნაყოფს, თავის მხრივ, უდიდეს გავლენას ახდენდა შუასაუკუნეების ქართველის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. მის მიერ სამყაროში საკუთარი თავისა და მშობლიური ქვეყნის ადგილის გააზრებასა და დამკვიდრებაზე. *ქართველთა ცხოვრებამ* უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების, ეროვნული სიამაყისა და პატრიოტიზმის გაღვივების, ქართველთა შორის ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანური იდეალების დამკვიდრების საქმეში. როგორც ჩანს, ამიტომაც უწოდებდნენ მას ჩვენი წინაპრები „წმინდა“ და „პატიოსან წიგნს“, რაც, არსებითად, მის წმინდა წერილთან გათანაბრებას ნიშნავდა. ნ. ბერძენიშვილის ხატოვანი თქმით: „შუა საუკუნეების ქართული ცივილიზაცია ემყარებოდა სამ სვეტს:“ *სახარებას, ვეფხისტყაოსანს და ქართლის ცხოვრებას* (ბერძენიშვილი, 1966, გვ. 7).

ქართველთა ცხოვრება უბრალოდ ისტორიულ მოვლენათა აღმწესხველი ქრონიკა როდია, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში და სხვადასხვა ავტორის მიერ იქმნებოდა, მას ახასიათებს ერთიანი, მწყობრი მსოფლალქმა, რომელიც მაღალ ეთიკურ-ფილოსოფიურ და მორალურ-ზნეობრივ კატეგორიებს ემყარება. ამდენად, შეუძლებელია *ქართველთა ცხოვრების* როლისა და მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ამ თვალსაზრისით, *ქართველთა ცხოვრება* მუდამ თანამედროვე და აქტუალური იქნება, ისევე, როგორც მარად თანამედროვე და უბერებელია ის ზოგადსაკაცობრიო ჰუმანური იდეალები, რომლებსაც ის ქადაგებს (იხ. ქვემოთ, თავი XI - *ქართველთა ცხოვრების* მსოფლალქმა).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის ისტორია ურიცხვ მტერთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უწყვეტ ჯაჭვს წარმოადგენს, მგზნებარე პატრიოტიზმი, სამშობლოს დაცვის, მისთვის თავგანწირვის მაღალი ზნეობრივი პათოსი *ქართველთა ცხოვრებაში* არასოდეს გადადის მტრისადმი პათოლოგიურ სიძულვილში, არ კნინდება მდაბიურ ავსიტყვაობამდე. ქართველი ისტორიკოსები არ ცდილობენ ქართველი კაცის აზროვნებაში მისი მეზობლისადმი თუ შორიდან მოსული დამპყრობლისადმი მტრობისა და სიძულვილის გაღვივებას. *ქართველთა ცხოვრება*, შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ცდილობს დაგვიხატოს პირუთვნელი, ობიექტური სურათი.

ამ მხრივ საინტერესოა ჯალალ ად-დინის *ქართველთა ცხოვრებისეული* დახასიათება. როგორც ქრისტიანი და ქვეყნის პატრიოტი, მემატთანე შეძრწუნებულია იმ ძალადობით, რაც ხორეზმელმა დამპყრობელმა თბილისის აღების შემდეგ ქალაქში დაატრიალა:

„ხოლო არა შემინდობს ტკივილი გულისა მოჰსენებად თუ ვითარ იქმნეს ხუარაზმელნი შინაგან ქალაქსა... რამეთუ ესეოდენ მძვინვარედ იწყეს მოსვრად, ვითარ ჩივილნიცა ძუძუთაგან დედისა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაბედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წარსცვდიან და რომელსამე ტუნი დაეთხიის და უკანის დედანი მოიკვლოდიან; ბერნი უწყალოდ ფოლოცთა⁷ შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭაბუკნი დაეკვეთებოდეს,

⁷ ქუჩა. ფოლოცთა შინა - ქუჩებში